

საკონტროლო კითხვები:

1. საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორებისას რომელი საბუთები გამოიყენება?
2. რა არის კრედიტის არსი?
3. კრედიტის რომელი ძირითადი 6 ფორმა იცით?
4. რითი გამოყოფდით საბანკო კრედიტს კრედიტის დანარჩენი ფორმებისაგან?
5. როგორ დაახასიათებდით დაკრედიტების ძირითად პრინციპებს?
6. ვინ არის დაკრედიტების სუბიექტი და რა სტატუსით გვევლინებიან აღნიშნული სუბიექტები საკრედიტო ურთიერთობებისას?
7. რა იგულისხმება დაკრედიტების ობიექტში და მისი რომელი სახეობები იცით?
8. დაკრედიტების რომელი ორი ძირითადი მეთოდი იცით და რა არის მათი არსი?
9. როგორია კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის არსი ფართო და ვიწრო გაგებით?
10. როგორია კომერციულ ბანკში საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისა და დამტკიცების მექანიზმი?
11. როგორია კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკაზე მაკრო- და მიკროფაქტორების გავლენა?
12. როგორია კომერციული ბანკის ტიპური საკრედიტო პოლიტიკის სტრუქტურა?
13. რას გულისხმობს კრედიტის სრულად დაფარვის უზრუნველყოფა?
14. რა შეგიძლიათ თქვათ კრედიტის დაფარვის პირველად და მეორად წყაროებზე?
15. კრედიტის დაბრუნებითობის უზრუნველყოფის მეორადი წყაროს რომელი ძირითადი ფორმები იცით?
16. როგორ დაახასიათებდით გირაოს და რომელ ძირითად კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი?
17. იმის მიხედვით, თუ ვისთან უნდა ინახებოდეს გირაოს საგანი, მისი რომელი ჯგუფებია ცნობილი?
18. რას წარმოადგენს თავდებობა, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის ფორმა?
19. რას გულისხმობს საბანკო გარანტია?
20. რა არის მოთხოვნის უფლების დათმობის (ცესია) არსი?

21. რა არის საკუთრების უფლების გადაცემა, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის ფორმა?
22. როგორ დაახასიათებდით საბანკო პროცენტს?
23. რა არის იმ გარე ფაქტორების გავლენა, რომლებიც ზემოქმედებენ ნებისმიერი ქვეყნის საბანკო პროცენტის განაკვეთის დონეზე?
24. როგორ დაახასიათებდით ქვეყნის ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კონკრეტული სახელმწიფოს საბანკო პროცენტის განაკვეთის დონეზე?
25. რას გულისხმობს საბანკო პროცენტის განაკვეთის დონეზე მოქმედი საბანკო სისტემის ფაქტორები?
26. კონკრეტული გარიგებისას კომერციული ბანკის მიერ პროცენტის ნორმის გაანგარიშებისას რომელი ფაქტორები მიიღება მხედველობაში?
27. რა განაპირობებს იმას, რომ ბანკი თავის საკრედიტო პროდუქტებს ყიდის არა პრინციპით „ყველას თანაბარ ფასად“, არამედ ინდივიდუალური მიდგომით?
28. როგორ განმარტავდით საპროცენტო მარჟას (სპრედი) და წმინდა საპროცენტო მარჟას?
29. საპროცენტო მარჟის გაზრდის რომელი გზები იცით?
30. რომელი ფაქტორები უნდა იქნეს გათვალისწინებულ კომერციული ბანკის მიერ საკუთარი საპროცენტო პოლიტიკისა და საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრისას, სასურველი საპროცენტო მარჟის მისაღწევად?
31. რას გულისხმობს საპროცენტო მარჟის საკმარისობის კოეფიციენტი?
32. როგორ დაახასიათებდით საპროცენტო მარჟის მინიმალურ, ანუ საორიენტაციო დონეს?
33. გამოყენების მიზნიდან გამომდინარე, საპროცენტო განაკვეთების რომელი სახეობები იცით?
34. როგორ დაახასიათებდით ნომინალურ, ანუ საბაზრო და რეალურ საპროცენტო განაკვეთებს?
35. ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებაზე რეაგირების ხარისხის მიხედვით საპროცენტო განაკვეთების რომელი სახეობები იცით?
36. რა არის მარტივი პროცენტის არსი?
37. რა შემთხვევებში ხდება რთული პროცენტის გამოყენება და როგორია მისი შინაარსი?
38. როგორ დაახასიათებდით ჩვეულებრივ, ანუ დიფერენცირებულ და ანუიტეტურ გადახდებს და რა განსხვავებაა მათ შორის?